ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბაღლის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება რედაქციაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ᲣᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ... ებით ასოზე 1 კაპ., ... ცეროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამგზავნილი სტატიები. დაბეჭდილი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 28 ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲒᲘᲡᲗᲕᲔᲡ

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

რას ვეძებდი და რა ვპოვე!

კომედია სამს მოქმედებად, კნ. ბარბ, ჯორჯაძისა.

II

ცოლი თუ გინდა ეს არი!

ვოდევილი ერთს მოქმედებად, ვ. აბაშიძისა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაურეოვის მაღაზიაში, ბოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყობა 7½ საათზე.

(3—2)

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ თითქმის ყველანი დიდის სიხარულით შეეგებენ უ. სტოიანოვის დანიშვნას აქაური გიმნაზიის დირექტორად: ყველანი დარწმუნებით ამბობდენ, რომ ახალი დირექტორი მიაქცევსო ჯეროვანს ყურადღებას ქართულს ენას, და მიანიჭებსო მას იმ ადგილს, რომელიც სამართლით უნდა ეკუთვნოდეს ჩვენს დაბალ და საშუალ სასწავლებლებშიო; იზრუნვებსო, რომ ყმაწვილებმა შეისწავლონო რიგიანად იმ ხალხის ენა და ლიტერატურა, რომლის შვილებიც ისინი არიანო და რომლის სამსახურისათვისაც უნდა ამზადებდენ მათ სასწავლებლებიო.

ჩვენდა სასიამოვნოდ და სასიკეთოდ ეს იმედი თან-და-თან მართლდება: უ. სტოიანოვი უხუმრად ჰკიდებს ხელს ქართული ენის საქმეს, იმას სულითა და გულით სურს და მოწადინებულიც არის, რომ ქართული ენა შეისწავლებოდეს მის გიმნაზიაში საფუძვლიანად და არა მარტო ქართველებისაგან; იმას საჭიროდ მიაჩნია, რომ ქართული ენა იცოდეს იმ რუსმაც, თუ სხვა ტომის კაცმა, რომელსაც, რომელიმე გარემოების ძალით, მოუხდება სამსახური საქართველოში. ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ ის ახლაც თხოულობს თავის ხელ-ქვეითი მოსამსახურე რუსისაგან ქართულის ცოდნას; მან ვალდებულ-ჰყო მოსამზადებელი კლასის ერთი მასწავლებელი, რომ შეისწავლოს თავის მოწაფეების დედა-ენა. შეიძლება ბევრს არც კი მოსწონდეს ამგვარი განკარგულება თავისის უფროსისა, მაგრამ რა გაეწყობა!..

და ეს განკარგულება კი ღირს-შესანიშნავია, მით უფრო რომ დღესაც შეგიძლიათ ნახოთ კიდევ არა-ერთგან ქართული ენის უმეცარი რუსი პირველ-დაწყებით სასწავლებელში მასწავლებლად. მაგრამ ეს კიდევ არაფერი,—უ. სტოიანოვის მზრუნველობა უფრო შორს სწვდება. იმას უნდა, რომ ყმაწვილები ქართულს ენას სწავლობდნენ და არა წერა-კითხვას მარტო; იმას სურს, რომ ამის შესახებ ჰქონდეს სასწავლებელს გარკვეული გზა, ჰქონდეს ერცელი და წესიერი პროგრამმა, რადგან დარწმუნებულია, რომ უპროგრამოთ კარგი მასწავლებელიც ვერას გაწყობს მაგდენს— პროგრამმა გზა-ტკეცილია მასწავლებლისათვის.

ახლა, მოგეხსენებად, არავითარი განსაზღვრული პროგრამმა არა აქვს გიმნაზიას ქართულის ენისა; მე იმას აღარ ვამბობ, მასწავლებელიც რომ არა ჰყავს.

ის დარწმუნებულია, რომ დღეს ქართულის ენის სწავლება გიმნაზიაში ერთობ უთავბოლოდ მიდის და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ეს საყურადღებო და მრავალ მნიშვნელოვანი საგანი ფეხზედ წამოაყენოს. მაგრამ ამ საქმეს ერთი ცოტაოდენი დაბრკოლება ხვდება წინ და ეს დაბრკოლება ის არის, რომ თვითონ გიმნაზიის მასწავლებელთ შორის ვერ უნახავს უ. დირექტორს ქართული ენის მცოდნე კაცი, რომლის რჩევითაც შესძლებოდა მას ხელმძღვანელობა. იქ არის სულ ოთხი კაცი ქართველი, მაგრამ ვერც ერთს ვერ უდვია თავს ეს საქმე, თვითეული მათგანი ამბობს თურმე (ჩუმათ რასაკვირველია)—„დავიბანე უბრალოებითა ხელი

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 20 ნოემბერს. შინაგან საქმეთა მინისტრმა მაკოვმა, ბეჭდვის საქმეების მთავარ გამგეობასთან დათანხმებით, აღუკრძალა გაზეთს „მოლვას“ განცხადებების ბეჭდვა ორის თვის განმავალობაში.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 19 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემი —	— 93	— 75
მეორე — — —	— 90	— „
მესამესი — —	— 95	— „
მეოთხესი — —	— 94	— „
აღმოსავლეთის პირ.	— 90	— 50
აღმოსავლეთის მეორე	— 90	— 50
აღმოსავლეთის, მესამე	— 20	— 50
ოქრო, ½ იმპერიალი	— 7	— 86
გირაოს ფურცელი	— „	— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის —	— 232	— 75
მეორე სესხის —	— 226	— 25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25	— 14	პენსი
ბამბურღი — —	214	— 25	ცენტი
პარიჟი — — —	265	— 50	სანტიმი
ვენა — — —	„	— „	ჰფენიგი
კავკასიის კერასინი — — —			

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** დღეს, სამშაბათს თფ. ოლქის სასამართლოს სამართლის გან-

ყოფილებაში დანიშნულია განსახილველად ორი საქმე ტატო წულუკიძისა, ერთი მურადოვის მაღაზიიდამ საქონლის მოტაცებისა და მეორეც პოლიციის დაიარაღებულ წინააღმდეგობაზედ. პირველ საქმეში ტატოსთან მიუღია მონაწილეობა ბიორგი ელიზბაროვს და მეორეში ჭიტესა ნასყიდოვს, რომელნიც აგრეთვე სამართალში არიანმიცემულნი.

*** რამდენჯერმე იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული, რომ ჩვენს სოფლებში ხშირად კანცელარიის მწერალნი ისაკუთრებენ ყოველ უფლებასა და როგორც ნებავთ, ისე ატრიალებენ სოფლის საქმეებს. ეს ხდება სოფლებში, სადაც თვითონ მამასახლისმა და სოფლის მოსამართლეებმა არ იციან წერა-კითხვა. ჩვენი სოფლის კანცელარიის მწერლები ოითქმის ყველა ან სამსახურიდამ გამორიცხული ჩინოვნიკები და მწერლები არიან და ან რომელიმე სასწავლებლის პირველ და მეორე კლასიდამ გამოგდებულები. ამათგან, რასაკვირველია, პატიოსან მოქმედებასა და სიკეთეს არ უნდა მოელოდეს სოფელი.

ერთს ამისთანა მაგალითს გვწერენ ჩვენ სოფ. სუჯუნიდამ: სუჯუნის შკოლაში ყოფილა ერთი ობოლი გლეხის შვილი, რომელსაც ბიძა ზრდიდა თურმე თავის ხარჯით. წელს ამ ბიძის საქმე როგორღაც ცუდათ წასულა, გაჭირებია თავის ძმისწულის გამოზრდა შკოლაში და ამის გამო სოფლისათვის უთხოვნია, რომ კარგათ სწავლობს ეს ყმაწვილიო, ნუ მოუსპობთ განათლების საშუალებასაო და დამეხმარეთ ამ საქმეშიო. სოფელს ჯერ თანხმობა გამოუცხადებია, მაგრამ ამ დროს წამომხტარა იქაური კანცელარიის მწერალი, რომელსაც ამგვარს საქმეებში არავითარი ხმა არა აქვს, და უთქვამს ხალხისათვის, ნუ იქთ ამას, თორემ აქ თუ გამოზარდეთ, მერე სხვა უმაღლესს სასწავლებელშიაც გაგზავნიან და მთელ სოფელს დაგაწვებათ ამის ხარჯიო, გლეხი-კაცის შვილს რათ უნდა განათლებაო და სხვ. და სხვ. სოფელი მართლა შეშინებულა და უარი გამოუცხადებიათ იმ ყმაწვილის ბიძისათვის დახმარებაზედ..

*** შუა-ქალაქს მოშორებულ ღარიბ მცხოვრებლებისაგან, ხარფუხიდამ, აღლაბრიდამ, ვერიდამ და სხვ, ხშირი საჩივარი ისმის ჩვენი ქალაქის ექიმებზედ. მოგეხსენებათ, რომ ყველაზე უფრო ხშირად სხვა-და-სხვა ავათმყოფობა ამ უბნების ღარიბ მუშა ხალხში ვრცელდება და ამასთანავე ამათ ყველაზე უფრო ნაკლები ღონის-ძიება აქვთ, რომ მოიწვიონ ჩვენი ძვირი ექიმები და უწამლონ თავიანთ ავათმყოფებსა.—

მართალია, ქალაქში არის ლარიბებისათვის საავათმყოფო; მაგრამ ამოდენა ქალაქს ერთი საავათმყოფო ვერ ჰყოფნის; ურიგო არ იქნება, რომ რომელსამე მეორე უბანში გაიხსნას ამ საავათმყოფოს განყოფილება. ჩვენი ექიმები იმდენათ მდიდრები არიან, რომ დღეში ერთი საათის შეწირვა ღარიბებისათვის იმათ არ გააღატაკებს...

*** ზოგიერთი ნასწავლი სომხებიც კი უჩივიან თავიანთ თეატრის წარმოდგენებს, რომ ენა არ გვესმისო, სტამბოლელ ენაზედ ლაპარაკობენ აქტიორები და აქტრისები და ნახევარი ვერ გაგვიგიაო. ეს საჩივარი გაზეთს „მშაკშიაც“ არის გამოცხადებული, რომელიც ამბობს, რომ ვისაც უნდა ამათი ლაპარაკი გაიგოს, ლექსიკონი უნდა წაიღოს ჯიბითაო...

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ერთს ჩვენი ძველი მწერლობის მოყვარეს შეუკრებია ყველა ლექსები და ნაწერები ნიკოლოზ მესამის საქართველოს კათალიკოზისა და ცალკე წიგნად აპირებს გამოცემასაო. ყველა ნაწერები ამ ქათალიკოზისა საქართველოს სხვა და სხვა ისტორიულ მოვლენაებზე არის თურმე დაწერილი.

ჩემიო“. სხვა კაცი ამაზედ მიატეხდა ჩხირს, იტყოდა: „თქვენი ენა რომ თვითონ თქვენ არ გცოდნიათ, აბა, მე—რუსმა—რა ვქნაო!?“ და აქვე მოიგონებდა ყვავისა და ბუს ანდაზასაც. მაგრამ უ. სტოიანოვი ამისთანა კაცი როდია,—იმას საყვარელი საქმის ასე ადვილად მიტოვება არ უყვარს; იმან სთხოვა ქართველ მასწავლებლებს: დამისახელეთ მაინცა ის პირები, რომლებმაც საფუძვლიანად იციან ქართული ენა და ლიტერატურაო, რომ მოვიწვიო ისინი, სადაც უნდა იყვენონ და მათის შემწეობით, მათის რჩევით ქართული ენის სწავლების საქმე გამოვაკეთოვო.

ოერჯერ მიმართა თურმე უ. დირექტორმა იმ ოთხს მასწავლებელს ამ თხოვნით, მაგრამ მათ ყურიც არ გაიბერტყეს. მგონი უნდათ დაჯერონ უ. სტოიანოვი, რომ ჩვენ ლიტერატურის ნატამალიც არ მოგვეძებნება და, მაშასადამე, არც მისი მცოდნე კაცები გვყვანან. საკვირველია ღმერთმანი, ამ კაცების გულ-გრილობა და არც მესმის მართალი მოგახსენოთ.

ვნახოთ, რა პასუხს მისცემენ ისინი უკანასკნელად უ. დირექტორს, რომელიც ასე ახირებულად არ ეშვება მათ, მას კი გარდაწყვეტილი აქვს—თუ უსათუოდ მოიწვიოს ქართული ლიტერატურის მცოდნე პირები და მოელაპარაკოს მათ ამ საქმეზედ. ჩვენ არ ვიცით, რომელი პირების მოწვევას ურჩევენ ქართველი მასწავლებლები უ. სტოიანოვს. ამაზედ კი ვართ დარწმუნებული, რომ იქ არ ექმნებათ ადგილი ქართულის ენისა და ლიტერატურის უმეცარ კაცებს: გამომძიებლებს, ნატარიუსებს და სხვა ამ კალაპოტის ხალხს და არც პატივ-ცემულს დირექტორს ენდომება „ბაშიბუზუკების“ ერთად თავის შეყრა. იმაზედაც წინდაწინ დაგვიჯერებია გული, რომ ყოველი ქართველი დიდი სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას ამ საქმეში და არ ეტყვის უარს უ. სტოიანოვს. ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ მიბაძოს უ სტოიანოვს ქუთაისის პროგიმნაზიამ, საქალებო გიმნაზიამ და სასულიერო სასწავლებელმა, სადაც ქართული ენის სწავლება ბარბაროსების ხელშია ჩავარდნილი...

საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ახლა და ახლა უ. სტოიანოვის გარდა სხვებიც აქცევენ ყურადღებას ქართულს ენას, ალბათ მისისავე წყალობით. ერთს სხდომაზედ უ. ლათინურის მასწავლებელმა სთქვა თურმე, რომ სამშობლო ენის საფუძვლიანად შესწავლას დიდი ადგილი უნდა მიეცეს გიმნაზიაშიო, მიტომ რომ თუ ყმაწვილმა თავის დედა-ენა კარგათ იცის, მას არც სხვა ენების შესწავლა გაუძნელდებაო, რადგან ბევრად თუ ცოტად ეცოდინებაო კიდეც გრამმატიკის საზოგადო ფორმებიო და ეს ცოდნა გზას გაუნათლებს მასო, როდესაც უცნობ ენას მიადგებაო; იმისავე ჰაზრით, საჭიროა პირველ-დაწყებითი სწავლა მიიღოს ბავშმა (ალბად მოსამზადებელ კლასებში) თავის დედა-ენაზედ და აქ ამ სისტემით წელ-გამაგრებულს უფრო ადვილად შეეძლება მაღალ კლასებში ბრძოლა გაუწიოსო იმ შრომას, რომელსაც მოითხოვს მისგან სხვა და სხვა საგნების და ენების შესწავლაო, და ეს შრომა უფრო ნაყოფიერიც იქნებაო. უ. ინსპექტორი კი იმ ჰაზრისაა, რომ ქართულის ენისა და ლიტერატურის სწავლება ეიწრო კალაპოტში არ ჩაესვას, ის გიმნაზიის უკანასკნელს კლასამდის უნდა გავრცელდესო....

სვირელი.

ქუთაისი, 23 ნოემბერს.

ნიკოლოზ კათალიკოზი, როგორც მოგეხსენებათ, წასულ საუკუნის დამდეგს ცხოვრებდა; ის იყო გვარად ორბელიანი.

*** ჩვენ მივიტყეთ საჩხერელ ურიების საქმე (სარრა მოდებაძისა) ამ მომავალ ქრისტეშობისთვის განმავალობაში იქნება განხილული თფილისის სამოსამართლო პალატაში. ამბობენ, რომ ურიების მხრით უფ. სპასოვიჩი, ალექსანდროვი და ტუპერნიკი იქნებიან პალატაშიო.

*** ამ რამდენიმე დღის წინათ თფილისის ცრუ-მორწმუნე ხალხში გავრცელდა ხმა, ვითომც რკინის გზის ეაგზალთან ერთს სახლში, რომელშიაც არავინ არა დგასო, ღამ-ღამობით რაღაც უხილავი და უცნაური ძალა გამოჩნდაო, „მავნე სულიო“; კაცმა რომ საათი დასდოს ამ სახლის ფანჯარაზე, იმწამსვე ისარი მოსცილდება და გადავარდებაო, ლურსმები სცვივიან თავის-თავად ამ სახლის ჭერიდამაო, კედლებიდამ რაღაც უჩვეულებრივი ხმაურობა ისმის და სხვ. და სხვ.

ცრუ-მორწმუნე ხალხმა რომ ამისთანა სისულელე დაიჯეროს, გასაკვირველი არ არის; გასაკვირველი ის არის, რომ გიმნაზიის უფროსი კლასების შაგირდები და თვითონ მასწავლებლებიც კი წასულან, სხვათა შორის, ღამე და დაუწყვიათ ყარაულობა—აბა მართლა გამოჩნდება ეს მოვლენა, თუ არაო. მაგრამ სასაცილო და თან გამოსაფხიზლებელი საქმე დამართნიათ ამ ხალხს: პოლიციას შეუნიშნავს ეს ხალხის მოგროვება შუაღამეზე ამ უდაბნო სახლში, პოლიციის აფიცერი მისულა 15 დაიარაღებული კაცით და შემორტყმია იმ სახლს, საცა ჩვენი განმანათლებელნი და იმათი სრულწლოვანი შაგირდები იყვნენ საიდუმლოდ შემწყვდეულნი. ერთს მასწავლებელთაგანს, შეუნიშნავს თუ არა პოლიცია, გაქცევა მოუნდომებია, მაგრამ იქვე დაუჭირავთ. ამათ აუხსნიათ პოლიციისათვის ის სამეცნიერო (?!) მიზანი, რომლის გამოსაკვლეველად ისინი მოსულან აქ. პოლიციის აფიცერს ეს ამგვარი მეცნიერული გამოკვლევა როგორღაც ჭკუაზე ახლოს ვერ მოსვლია, თითოეული იმათგანის სახელი და გვარი ჩაუწერია და შემდეგ ყველა გამოუყრია ამ „საიდუმლო ძალების“ საბუდარიდამ...

ამის შემდეგ წადით და დაუწუნეთ ჩვენ გაუნათლებელ-უმეცარ ხალხს იმის ცრუ-მორწმუნოება. წადით და უთხარით—ჭინკები და მავნე სულები არ არსებობენ დედა-მიწაზედაო!..

განცხადებანი

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობისაგან

ქუთაისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდებისა მე-18 §-ის ძალით, მიმდინარე წლის 21 დეკემბერს დილის 10 საათიდან ქ. ქუთაისს. ბანკის სადგომზე, ი. ხეჩინოვის სახლებში, საზოგადო ვაჭრობით, ხელ-მეორედ ვაჭრობის დაუნიშნავად, გასყიდულ იქმნებიან ხსენებულ ბანკში დაგირავებული მამულნი ქვემო აღრიცხულთა პირთა, წესდებისამებრ ბანკის ხვედრია ფულთა მათ ძიერ გადაუხდელობისა გამო.

ვაჭრობა მოისპობა მხოლოდ იმ მამულების შესახებ, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე-19 §-ისაებრ, შეავსებენ უკლისად გარდასახადთა ფულთა და აგრეთვე განცხადების ხარჯებს.

ბევარი, სახელი, მამის სახელი და წოდება მოვალეთა.	რა გვარი მამულია.	სად მდებარეობს მამული.	ვალი შემოსატანი ფულითურთ.	
			მან.	კაპ
გურიელისა, ელეონორა მიხაილის ასული, თავადი.	ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი აგეთვე სამზარეულოთი და 1,230 ოთხ-კუთხი საჟენი ბაღ-ეზოთი.	ქუთაისს. ბალახვანის ქუჩაზე.	4991	43
მურადაშვილი, თომა პავლეს ძე, მოქალაქე.	ერთ-სართულიანი ხეს სახლი აგეთვე სამზარეულოთი და 806 ოთხ-კუთხი საჟ. ეზოთი.	ქუთაისს, ალექსანდროვის ქუჩაზე.	838	31
იგივე.	ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი, 54 ოთხ-კუთხი საჟ ეზოთი.	ქუთაისს, ალექსანდროვის ქუჩაზე.	1713	62
იგივე.	სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 12 დესიატინა და 1820 ოთხ-კუთხი საჟენი.	ქუთაისის, უეზდში სალორიაზე.	1504	32
ფერეთელი, ნეტორ დიმიტრის ძე, თავ.	ორ-სართულიანი სახლი, რომლის ძირა სართული ქვით-კირისა, ხოლო ზედა-ხისა, 900 ოთხ-კუთხი საჟ. ბაღ-ეზოთი.	ქუთაისს, თფილისის ქუჩაზე.	6226	22
კიკიანისა, ტასია ბლახლას ასული, აზ.	ერთ-სართულიანი ხეს სახლი, აგეთვე სამზარეულოთი და 144 ოთხ-კუთხი საჟ. ეზოთი.	ქუთაისს, მეორე საპრისტავოში.	604	83
ჩხეიძისა, მელანია ქაიხოსროს ასული, აზნაური.	ზვარი, ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 26 დესიატინა და 15 ოთხ-კუთხი საჟენი.	სოფელსა ლახუნდარას შორაპ. უეზ.	4146	24
ჯაფარიძე, ტარიელ მერაბის ძე, თ.	ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, ზომით 2 დესიატინი და 1800 ოთხ-კუთხი საჟენი.	სოფელსა ღარს რაჭის უეზდისა.	737	37
ჩიქოვანი, სისო მამუჩარის ძე, თავ.	ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 31 დესიატინა და 200 ოთხ-კუთხი საჟენი.	სოფელსა ლასურს ლეჩხუმის უეზდისა.	1471	65
გოთერაშვილი, აბრამ დანიელის ძე, და ელაშვილები, იოსებ და აბრამ შამელას ძენი, II გილდიის ვაჭარნი.	სახნავ-სათესი, ზომით 138 დესიატინა.	სოფელსა ჭყუშურს ქუთაისის უეზდისა.	26916	49
კიკიანისა, ანნა ფირანის ასული, აზ.	ეზო და სახნავ სათესი, ზომით 9 დესიატინა და 695 ოთხ-კუთხი საჟენი.	სოფელსა პატრიკეთს, ქუთ. უეზდისა	739	28
ერისთავი, ივანე ოტიას ძე, თავადი.	სახნავ-სათესი და ზვარები, ზომით 84 დესიატინა და 1028 ოთხ-კუთხი საჟენი.	სოფელთა: ამაღლებას, ინაშაურს და უხუთს ქუთაისის უეზდისა.	7276	28
ხიხაძე, სოსია ბერიკას ძე, გლეხი.	ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 3 დესიატინა და 228 ოთხ-კუთხი საჟენი.	სოფ. საზანოს. შორაპნის უეზდისა.	334	17

ხიხაძე, მამუკა ბერიკას ძ., გლეხი.	ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, ზომით 1 დესიატინა და 1561 ოთხ-კუთხი საჟენი.	სოფელსა საზანოს, შორაპნის უეზდისა.	227	78
ვაჭავარიანისა, აგრაფენა ბეკოს ასული, გენერალ-მაიორის მეუღლე.	სახნავ-სათესი, ზომით 26 დესიატინა და 100 ოთხ-კუთხი საჟენი.	სოფელსა ტყაჩირს ჭუთაისის უეზდისა.	2089	20
ლოლოძეშვილიძე, გიორგი როსტომის ძე, თავადი.	ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, 378 ოთხ-კუთხი საჟენი ეზოით.	ჭუთაისს, ოლპირის ქუჩაზე.	2110	52
ჯუბენკოლისა, მარიამ პეტრეს ასული, შტაბს-კაპიტანის მეუღლე.	ერთ-სართულიანი ხის სახლი, 368 ოთხ-კუთხი საჟ. ეზოით.	ჭუთაისს, ბალახვნის ქუჩაზე.	646	39
ზედგინიძე, ივანე იოსების ძე, ნადეორნი სოვეტნიკი.	ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, 300 ოთხ-კუთხი საჟენი ეზოით.	ჭუთაისს, მიხაილოვის ქუჩაზე.	12974	52
ერისთავისა, სოფიო ბაიხოსროს ასული, თავადი.	ორ-სართულიანი სახლი, რომლის ძირა სართული ქვით-კირისაა, ხოლო ზედა ხისაა, 80 ოთხ-კუთხი საჟ. ეზოით.	ჭუთაისს, ბალახვნის ქუჩაზე.	1099	69

(3—2)

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ იმის თან-დასწრებით იქნება პირველი და უკანასკნელი ვაჭრობა (უპირეტორკოთ) შემდეგს საგნებზედ;

1). 24 ნოემბერს 1879 წელსა იქნება ვაჭრობა ავლაბარში მდებარე საქალაქო მიწისა, სივრცით 1890 დესიატინის, **და მეორე** მიწის, სივრცით 237 დესიატინის, არენდით გაცემაზედ მომავალს **1880 წლი** 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 **წლის 1** იანვრამდე.

2). 7 დეკემბერს ამა 1879 წელს იქნება ვაჭრობა იჯარით გაცემაზედ იმ შემოსავლის მოკრებისა, რომელიც ქალაქსა აქვს მტკვრით ძოტანილი იმ ტიეებისაგან, რომელნიც ქალაქის კუთვნილ ნაპირებზედ ჩერდებიან. ვადა ამ იჯარისა ითვლება მომავალი 1880 წლის 26 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ.

3). 7 დეკემბერს ამა 1879 წელსა იქნება ვაჭრობა იჯარით მიცემაზედ იმ ნავისა, რომელიც ქალქის ნავსადგურთან არის ვერაზე. ვადა ამ იჯარისა ითვლება ამ 1880 წლის 26 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

4). 4 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა იმ ხარჯის იჯარით გაცემაზე, რომელსაც ქალაქში მომუშავე ფაეტონები, დროჟკები, პოეოზკები და სხვ. (ზეოზნი პრომისელ) იხდიან ქალაქის ხაზინის სასარგებლოდ. ვადა ითვლება ამ 1880 წლის 1 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ.

5). 1 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა ცხენის ხარჯის იჯარით გაცემაზედ. ვადა 1880 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

6). 5 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა ქალაქის სასწორისა და საწყაოებისა და საწყაობის შემოსავლის იჯარით გაცემაზედ. ვადა ითვლება 1880 წლის 26 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

ყველა ამ იჯარებისა და არენდების პირობების (კანდიციების) ნახვა და გაცნობა მსურველთა შეუძლიანთ ქალაქის გამგეობის (უპრავის) კანცელარიაში მუდამ დღე, უქმ დღეებს გარდა, დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(13—6)

ბიბლიოგრაფიული ცნობა

პირველ-დასაწყისი კურსი რუსულის ენისა ქართველთათვის, შედგენილი **ბ. კალანდარიშვილისაგან,** მეექვსე გამოცემა გადასწორებული და დამატებული **ი. ბოგებაშვილისაგან,** დაიბეჭდა და ისყიდება **ბრიკროვის** წიგნის მაღაზიაში **ბუკის** ხიდთან. ფასი ეგზემპლიარისა ათი შაური. მაგრამ ვინც ოცს ეგზემპლიარს ერთად იყიდის ნაღდს ფულზედ, იმას წიგნი დაეთმობა ცხარა შაურათ, ხოლო ვინც ორმოცდა-ათზე მომეტებულს წაიღებს ერთათ ნაღდსავე ფულზედ, მას ეგზემპლიარი მიეცემა ორ აბაზათ.

(15—10)

ოვირას, 9 დეკემბერს

თფილისის ქრუჟკაში

„**თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების**“ **შკოლის** სასარგებლოდ გამართული იქნება:

ბალი

ბილეთის ფასი, ქალისა თუ კაცისათვის, 2 მანეთია

დასაწყისი საღამოს 9 საათზე

ქალებს შეუძლიანთ **გულ-დახურული** კაბებით მოვიდნენ. **ვისაც** ჰსურს წინადვე იყიდოს ბილეთი, **შეუძლიან** მიმართოს **შემდეგ** პირთ: „**საზოგადოების**“ **თავსმჯდომარეს, კ. ქ. მამაცოვს, ქუ**ციაში, **საკუთარ** სახლებში; **თ. დ. ი. ავ**ალოვს, **თავად-აზნაურთა** **საადგილ-მამ**ულო **ბანკში;** **ხაზინადარს ვ. დ. თულ**ეშვილს, **ოლქის** **სასამართლოში** **და** **სეკ**რეტარს **ნ. დ. ქანანოვს** „**ივერიის**“ **რ**ედაქციაში.

(5—1)

სენაკის **უეზდში** **დ. სუჯუნას**

დაიკარგა ლაფშა ფითელი

ცხენი, ტანად **საშუალი,** ძუა-ფაფარი **მოშავო,** ძლიერ **თოხარიკი** (ორლა), **დაღი** **აქვს** **მარცხენა** **უკანა** **ბარკალზედ,**

ვინც ამ ცხენს აღმოაჩენს ასს მანეთს ფულს **მიიღებს** **საჩუქრად;** **და** **რომელ** **საზოგადოებაშიაც** **აღმოჩნდება** **იქაურ** **შკოლას** **პატრონი** **ასს** **მანეთს** **სწირავს;** **დაიკარგა** **ოც-და-სამ** **სექტემბერ**ში.

ცხენი **ეკუთვნის** **ზემოხსენებულ** **უეზ**დისა **და** **სოფლის** **მცხოვრებს** **თეოხარ** **მკურნალს.**

(6—1)

უმორჩილესად ვსთხოვ ყველა **იმ** **პირ**ებს, **რომლებსაც** **კი** **უფ. ბ. ჩარკვია**ნის **წიგნის** **მაღაზიიდამ** **ნისიათ,** **ანუ** **კომ**ისიით **უეზდის** **ქალაქებში** **ანუ** **სხვაგან** **წიგნები** **აქვსთ** **წაღებული** **გასასყიდათ,** **დღეის** **შემდეგ** **იმ** **წიგნების** **ფული** **მე** **გამომიგზავნონ,** **რადგანაც** **უფ. ჩარკვიან**თან **თანამდებობა** **დავსტოვე** **და** **ყველა** **ის** **ნისიები,** **რაც** **კი** **ჩემს** **დროს** **გავიდა,** **მე** **გარდმოვიღე** **ჩემზე** **და** **სამაგიერო** **უკვე** **გადაუხადე.**

ადრესი **ჩემი:** Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“

(5—4) **ზაქარია ჭიჭინაძე**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Ноября 1879 г. Типографія Мелитова **ბამომც. ს. მელიქიშვილი** **რედ. ს. მესხი.**